2019 წლის 3 ივნისიდან 2019 წლის 7 ივლისის ჩათვლით გამოცხადდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის ადმინისტრაციის უფროსის არჩევნები, აკადემიის ადმინისტრაციის უფროსის ვაკანტური პოზიციის დაკავების მიზნით.

კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) უმაღლესი განათლების (სასურველია მაგისტრის ხარისხი) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) რეზიუმე (CV) ქართულ ენაზე;

დ) თავდაცვისა და უსაფრთხოების, სამართლის, საჯარო ან/და კერძო სექტორში არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია არსებობის შემთხვევაში.

აკადემიის ადმინისტრაციის უფროსის კანდიდატი (შემდგომში - კანდიდატი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უმაღლესი განათლება (სასურველია მაგისტრის ხარისხი);

ბ) თავდაცვისა და უსაფრთხოების, სამართლის, საჯარო ან/და კერძო სექტორში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წელი.

გ) საკონკურსო თემატიკა-შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ.გ) “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 14 მარტის N16 ბრძანებით დამტკიცებული წესდება;

გ.დ) „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი.

დ) უცხო ენის ცოდნა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული ან რუსული ენებიდან ერთ-ერთი) – B1 დონე (სასურველია ინგლისური ენის ცოდნა);

ე) კომპიუტერის შემდეგი პროგრამების კარგად ცოდნა:

Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft PowerPoint.

ადმინისტრაციის უფროსის ფუნქცია-მოვალეობები:

ა) ხელმძღვანელობს აკადემიის ადმინისტრაციას;

ბ) უფლებამოსილია აკადემიის სახელით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის შესაბამისად, დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები;

გ) შეიმუშავებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;

დ) ამზადებს აკადემიის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს და რექტორთან შეთანხმებით დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს;

ე) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) პასუხისმგებელია აკადემიის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;

თ) ასრულებს წინამდებარე წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს.

კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს აკადემიის საარჩევნო კომისიაში 2019 წლის 3 ივლისიდან 2019 წლის 7 ივლისის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქ. გორი ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი.